სტამბა და რედაქცია:
ტფილისი, სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა.
...ის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართევენ ...დაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და ...ამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" წიგნის მაღაზიას.
...მოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
...ის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ-დღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
...წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა:
...ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ... მეოთხეზე 4 კაპ.

Типографія и Редакція
„ЦНОБИСЪ ПУРЦЕЛИ"
Тифлисъ, Дворцовая д. Дворянства
Телефонъ № 363.


ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული წარმოდგენა
საზაფხულო თეატრ „ერმიტაჟ"-ში.
კვირას, 24 მაისს
ქართული თეატრის აქტორებისაგან წარმოდგენილი იქნება
I
## დედა და შვილი
დრამატიული ეპიზოდი ერთ სურათად, თხზ. თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა
სხვათა შორის ქართული ხორო შეასრულებს
„ქართველნო ხელი ხმალს იკარ"
II
## ხანუმა
4 მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა
დასასრულ ლეკური
ადგილების ფასი 20 კაპიკიდამ 1 მ. 60 კაპიკამდე.
დასაწყისი სწორედ 8½ საათზედ.

გამოვიდა საყმაწვილო წიგნი
## პატარა ლორდი
„ჯეჯილის" რედაქციის გამოცემა
თარგ. ელ. წერეთლისა
ფასი **30** კაპ.
იყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების" წიგნის მაღაზიაში და იგით „ჯეჯილის" რედაქციაში. (10—10)

## გოგირდის მალნეული
მარწყლიდან [საფრანგეთშია]
ვენახების და ვაზების საწამლავად მავნე მწერებისაგან.
ეს გოგირდი ბევრად უკეთესია და გაჩსაც უკედ არჩენს, ვიდრე წმინდა გოგირდი და თან ბევრად იაფია — **ერთი ფუთი ღირს 90 კაპ.**
მოიკითხეთ ტფილისში, კიროჩნი ქუჩაზე № 27, ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის პირდაპირ კუკიაში **ი. კ. ციცკოვსკისთან** დილის 9 საათიდან 11 საათამდე. (3—2)

## იაპონეთის საუცხოვო ნივთები
ეს არის ეხლა მივიღეთ სხვა-და-სხვა ფატონები (ეტაჟერკები) მოხატული და მოვარაყებული
მრავალი **ყუთები, ლარნაკები** (ვაზა), **ეკრანები, მარაოები, ფარნები, ხონჩები, საწერლები, საფერფლე, ფარდები**
**ხმლები,** მოჩუქურთმებული ქვლებში
✦ ოთახ-დარბაზების მოსართავი ნავთები და სამკაულები ✦
იქვე ისყიდება ჩინეთის
**ჩესუნჩა და ფანზა**
ეს ყოველივე მოიკითხეთ
## „აღმოსავლეთის მაღაზიაში"
## იოსებ მრკვილაძესთან
ლორის-მელიქოვის ქ., ზუბალოვის სახ. № 4, სემინარიის პირდაპირ.
„**Восточный магазинъ**"
*І. Мерквиладзе*
Прошу убѣдится въ изяществѣ
ЯПОНСКИХЪ ВЕЩЕЙ
Лорисъ-Меликовская ул. № 4. (30—27)



## „ბავშვების მოკეთის"
შესახებ.



აურებელი გამამხნევებელი წერილები მშობლებისა და მასწავლებლებისა და მარჯვედ ყიდვა ამ წიგნისა მაიძულებენ მეორე გამოცემა დავიწყო და ვსთხოვ ყველას, ვისაც-კი გული ერჩის სამშობლო საყმაწვილო ლიტერატურისათვის, მომაწოდონ თავიანთი შთაბეჭდილებანი და შენიშვნები ამ წიგნის შესახებ. ყველა შენიშვნას სულითა და გულით მივეგებები. მიწერ-მოწერა შეიძლება ან ჩემს სახელობაზე სათავად-აზნაურო სკოლაში, ან „ცნობის ფურცლის" რედაქციაში.
**წიგნი „ბავშვების მოკეთე" მოწონებულია და სახელმძღვანელოთ დადგენილია მთავრობის მიერ.**
ეს წიგნი იყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში. — სოფლის მასწავლებლებს იაფად დაეთმობათ, ე. ი. უყდო 20 კაპ., ყდიანი 25 კაპ., თუ პირდაპირ ჩვენგან გამოიწერავენ.
ადრესი: Тифлисъ. Типографія Хеладзе, для передачи учителю Натадзе.
(50—13) პატივისცემით **ალ. ნათაძე.**

ქართული თეატრი
ოთხშაბათს, 27 მაისს
მელიტონ ბალანჩივაძე
გამართავს
## კონცერტს
აღსრულებულ იქნება სხვა-და-სხვა ახალი სიმღერები და რომანსები ბ-ნ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი.
სხვათა შორის შეასრულებენ ერთს სცენას ოპერის მესამე მოქმედებიდან
## თამარ ცბიერი
და ჰიმნი
სამშობლო ხევსურისა
მუსიკა მ. ბალანჩივაძისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სარაჯიშვილისა, ბ-ნი კარგარეთელი, ქალთა და ვაჟთა ხორო.
ხორო და ორკესტრი მ. ბალანჩივაძის ლოტბარობით.
ადგილების ფასი ჩვეულებრივია
დასაწყისი 8½ საათზე

გამოვიდა და ისყიდება
გაზეთ „ცნობის ფურცლის" გამოცემა
## სპარსეთის მეფე
და
## ქართველი ტყვე
პოემა
თავ. კოწია დადიანისა
ფასი **2** კაპ.
ასი ცალი იყიდება 1 მ. 40 კ.
ორასი — — 2 მ. 50 კ.
სამასი — — 3 მ. 60 კ.
მსურველნი მიჰმართავენ „ცნობის ფურცლის" რედაქციას.

## განიხვრა და დაფასება
ტყიან მამულებისა
## დაფასება
სამეურნეო შემოსავლისა
მამულის გეგმის შედგენას და სხ.
კისრულობს ალექსი გრიგოლის ძე **სნეჟკოვი**, ლაბორატორიის ქუჩა № 26. ტელეფონი № 567.
Алексѣй Григорiевичъ Снѣжковъ, Лабораторная, № 26. (50—23)

გამოვიდა და ისყიდება.
ქალაქის ყველა მაღაზიებში და ეკკლესიებშიაც
ცხოვრება
წმინდისა დიდისა მოწამისა
## ევსტატისა
და სახლეულთა მისთა
(სურათით)
გამოცემა მორჩილის **რ. ბარამიძისა**
**ფასი ერთი შაური** (10—10)

სამკურნალო და ამბულატორია
## ს. გ. თოფურიასი
ქუთაისში.
სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: **შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.**
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან:
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგიო ავამყოფობას და სიფილისს **ფ. კ. გერრატი.** დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. კოგანი.**
20 მაისიდამ — დედათა ავადმყოფო-

ბის და აკუშერობის D-r **ф. ბაცევიჩი.**
თვალების ავადმყოფობას — **ი. კ. ვარშავსკი.**
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საექიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვისა და საქისთვის.
სამკურნალო დირექტორი **ს. გ. თოფურია.**
*Лѣчебница С. В. Топурiа* въ Кутаисѣ.

მთავრობისაგან ნება დართული
**პანსიონი და სასწავლებელი**
მასწავლებელი ქალის
## ნ. დიდებულიძისა
ტფილისი, მიხეილის ქუჩა, ხეჩატუროვის სახ. № 146.
ღებულობენ ბავშვებს მოსამზადებლად საშუალო სასწავლებლებში. ბავშვები მიიღება სასწავლებლად და საცხოვრებლადაც.
მიიღება აგრეთვე საქალებო გიმნ. მოწაფენიც სადგომად და საცხოვრებლად.
პანსიონში ასწავლიან მუსიკას
(პიანოზე და ვიოლონი)
მოლაპარაკება პირობებზე დილის 10 საათ. — 3 საათამდე

**Пансiонъ и училище**
**Учительницы**
***Н. Дидебулидзе***
Тифлисъ, Михайловская ул. № 146
Принимаются дѣти женскаго пола приходящ. и полнымъ пансiонерк. Квартиры съ полнымъ содержанiемъ для ученицъ гимназiи. Обученiе музыкѣ.
(150—142)

# ახალი ამბავი

⁂ **გზათა მინისტრმა** ნება დართო ამიერ-კავკასიის საქალებო ინსტიტუტის მოწაფეთ უფასოდ გაემგზავრონ ამიერ-კავკასიის რკინის გზით ტფილისიდან ბორჯომს და უფასოდვე დაბრუნდნენ ტფილისს. ეს მგზავრობა განზრახულია პედაგოგიური აზრით; მოწაფე ქალებს, რიცხვით 65-ს, თან გაჰყვებიან აღმზრდელი ქალები. გამგზავრება მოხდება 28 აპრილს. გარდა ამისა, მინისტრმა ნება დართო მიეცეს უფასოდ 60 ძველი რელსი ქუთაისის უფასო საქალებო სკოლას მისთვის საკუთარი შენობის ასაგებად.

⁂ **მამა-დავითობა.** 21 მაისს იდღესასწაულეს წმ. დავითის ეკკლესიის დღეობა: მწირველი იყო საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე. დღესასწაულმა მრავალი მლოცველი მიიზიდა, მიუხედავად ცუდი ამინდისა.

⁂ **კახეთის რკინის გზის გამო.** გუშინ, 21 მაისს, დილის ათს სა-

ათზედ კახეთის თავად-აზნაურობა ბ-ნ გუბერნატორის და სიღნაღის მაზრის მარშლის წინამძღოლობით წარუდგნენ გზათა მინისტრს მისს ბრწყინვალებას თავადს ხილკოვს კახეთის რკინის გზის გამო. სიღნაღის მარშალმა თ. შალიკაშვილმა მოახსენა მინისტრს, რა რიგად საჭიროა კახეთისათვის რკინის გზა, რადგანაც კახეთი უკან უკან მიდის უგზოობით და სიმდიდრე კახეთისა თითქმის უქმად რჩება და კახელებისათვის თითქმის გამოუყენებლად და სთხოვა, თუ სახელმწიფოს ჰსურს ამ გზის აგება, თავად-აზნაურობა დიდის სიამოვნებით მიეგებება ამ სურვილს და თუ რაიმე მიზეზით სახელმწიფო ამ საქმეს ამ ახლო ხანში არ შეასრულებს, ნება მიეცეს ან მთელს თავად-აზნაურობას, ან ცალკე გუნდს, ან ცალკე კაცს კახეთის გზის აგებას შეუდგეს.

ბ-ნმა გუბერნატორმა თავისის მხრით დაუმატა, რომ კახეთის რკინის გზა ორ ნაირათ სასურველია. ერთი იმითი, რომ სტრატეგიის თვალით იგი შეადგენს სახელმწიფო საჭიროებას, რადგანაც ეგ გზა დაუახლოვებს დაღისტანს დანარჩენს ამიერ კავკასიას, საცა მთავარ-მართველობაა კავკასიისა და რკინის გზისაგან შესაძლებელ იქმნება მალე ხელის მიწვდენა იქ, საცა საჭიროება მოითხოვს. გარდა იმისა, რომ სახელმწიფო საჭიროება ითხოვს კახეთში რკინის გზის გაყვანას, სხვა მხრივაც საჭიროება ამ მდიდარ ქვეყნისა, როგორიც კახეთია, მეტის-მეტათ აშკარაა. აქ რკინის გზა დიდათ სასარგებლო იქმნება მცხოვრებთათვისაც, და მცხოვრებთა კეთილმდგომარეობა, ხომ ერთი საჭიროებაა სახელმწიფოსი.

ბ-ნმა მინისტრმა პასუხად სთქვა, რომ სტრატეგიული მნიშვნელობა კახეთის გზისა დიდი საბუთია და ამ მხრით კახეთის გზა არავის უხსენებია და მაგას სახეში მივიღებო. კახეთის რკინის გზა სხვაფრივაც სასარგებლოა, ამიტომ, რომ სამინისტრო დარწმუნებულია, რომ ეს გზა ძალიან ხელს შეუწყობს კახეთსა და მოგებასაც მისცემს მისს ამგებსა, რადგანაც 8 % მოგებაა მოსალოდნელიო. მთავრობას თვითონ უნდოდა მაგ გზის გაყვანა თავის ხარჯით, მაგრამ იმან დააბრკოლა, რომ ბევრნი ცალკე კაცნი თხოულობდნენ კონცესიას და უმჯობესად დანახულ იქმნა ცალკე კაცმა ან ცალკე გუნდმა იტვირთოს მაგ გზის გაყვანაო. მთელს თავად-აზნაურობას, როგორც ერთს მთელს წოდებას, გზის გაყვანის ნებას არ მისცემენო. სჯობია, ცალკე კაცი ან ცალკე გუნდი ვინმე აიჩინოთო. მე ჩემი მხრით, მივალ თუ არა პეტერბურგს, ხელმწიფე იმპერატორს მოვახსენებ თქვენს სურვილსა და თხოვნასაო. ძალიან კარგი იქმნებოდა, რომ ვიცოდე, რა აზრისანი ხართ თვით გზის მიმართულებაზე. ორ ნაირად გამორკვეულია სად და როგორ უნდა გაიაროს გზამ: ერთი თავად-აზნაურობისაგან და მეორე მთავრობისაგან. თქვენ რომელს ამჯობინებთო? კარგი იქმნება, რომ იმისი შესახები თქვენი აზრი წერილით დღესვე ვაცნობოთ რადგან დღეს საღამოს ექვს საათზე მივდივარო. თავად-აზნაურობა შეჰპირდა წერილს მოგართმევთო. ბ-ნმა მინისტრმა აქვე უბრძანა თავისს მოხელეს, ახლავ გაჰგზავნოს სამინისტროში დეპეშა, რომ ხელახლად გაარჩიონ, როგორც თავად-აზნაურობის, ისეც მთავრობის მიერ გამორკვეული პროექტი და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ თავად-აზნაურობის პროექტსა.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ კახეთის თავად-აზნაურობას უკვე მოუსწრია ქაღალდის შედგენა და გუშინ საღამოს მეოთხე საათზედ მიურთმევია ბ-ნ მინისტრისათვის ბ-ნ სიღნაღის მარშლის ხელით („ივ".)

*** **ელექტრონის სინათლე ქალაქში.** გუშინ შეერთებულმა კრებამ ქალაქის გამგეობისა და ტეხნიკოსთა კომისიისამ შეიმუშავა ნორმალური ხელ-შეკრულობა იმათთვის, ვინც იკისრებს ქალაქის ელექტრონით გასანათებლათ სადგურის და ყველა საჭირო მოწყობილების გამართვას. ამასთან დაადგინა დაბეჭდოს ეს ხელ-შეკრულობა და გაუგზავნოს ყველა ცნობილ ფირმას. აგრეთვე დაადგინა გაჰგზავნოს ამ საქმის შესასწავლად ერთი ტეხნიკოსი რუსეთის იმ ქალაქებში, სადაც ელექტრონული განათებაა შემოღებული.

*** **ავლაბრის ფერმიდან,** 3 დესეტინა და 154 საჟენი სახაზინო მიწა, უმაღლესი ნება-რთვით, გადაეცემა სასულიერო უწყებას პეტრე-პავლეს სამართლ-მადიდებლო სასაფლაოს გასაფართოებლად და საეკკლესიო სკოლის შენ..ბის ასაგებად.

*** **საყმაწვილო დღესასწაული.** ორშაბათს, 25 მაისს, იუნკერთა სასწავლებლის მოედანზე გაიმართება მეორე საყმაწვილო დღესასწაული.

*** **ტფილისის იუნკერთა სასწავლებელი** 2 ივნისს სურამში გადადის საზაფხულოდ.

*** **ამიერ-კავკასიის რკინის გზის სასწავლებლები.** ამიერ კავკასიის რკინის გზას აქვს შემდეგი სასწავლებლები: 1) მიხეილის რკინის გზის ტეხნიკური სასწავლებელი 75 მოწაფით, 2) ტფილისის ქალაქის რკინის გზის სასწავლებელი 476 მოწაფით, 3) ტფილისის ორკლასიანი საქალებო სასწავლებელი 224 მოწაფით, 4) ორკლასიანი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი ხაშურში 213 მოწაფე ვაჟით და 78 მოწაფე ქალით, 5) ორ-კლასიანი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი 55 მოწაფე ვაჟით და 21 მოწაფე ქალით, 6) ორკლასიანი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი სამტრედიაში 94 მოწაფე ვაჟით და 24 მოწაფე ქალით და 7) ორკლასიანი პირველ-დასაწყისი სასწავლებელი ბაქოში 66 მოწაფე ვაჟით და 41 მოწაფე ქალით. სულ მოწაფე ვაჟი — 904 და მოწაფე ქალი — 388.

— **ამავე გზის მოსამსახურე პირთა რაოდენობა.** ამიერ კავკასიის რკინის გზას ჰყოლია 1-ლ მაისამდე 12,089 მოსამსახურე პირი; ამათგან უფროსი აგენტი — 27; კანცელარიებსა და კანტორების მოსამსახურე 1317; ექიმი — 15, გზის ოსტატი, ობერ-კონდუქტორი, მაშინისტი, ტელეგრაფისტი, ნოქარი, ფერშალი, ეკონომი, ბებია ქალი და სხ. — 1,321; არტელის მამასახლისი, კონდუქტორი, მაშინისტის თანაშემწე, მეისრე და სხ. — 6,465; ხელოსანი და მუშა სახელოსნოებში და დეპოში, აგრეთვე გზაზე — 2,944. სამმართველოში — 148, საკომერციო საქმისა და სტატისტიკის მსახური — 109, გზისა — 2,897, „ტიაგისა" — 4,041, მოძრაობისა — 4,041, ტელეგრაფისა — 431, ქონებისა — 202 და სამკურნალო საქმისა — 113. გარდა ამისა, გზის შესაკეთებლად მუშაობს 455 მუშა.

*** **რუსული და ძველი ენები კავკასიის გიმნაზიებში.** კავკასიაში რუსული ენის უკეთესად გავრცელების აზრით, კავკასიის დაწესებულებანი, როგორც გაზ. „ნოვოსტი" გადმოგვცემს, შუამდგომლობას იწყებენ სახალხო განათლების სამინისტროს მმართველის წინაშე იმის შესახებ, რომ კავკასიის სამოსწავლო ოლქის გიმნაზიებში შემოღებულ იქმნეს მხოლოდ ერთი ძველი ენის — ლათინურის სწავლება.

*** **ფარმაცევტების შრომის მოწესრიგება.** შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო განყოფილებაში აღძრულია კითხვა ფარმაცევტებისა და მათ თანაშემწეთა შრომის მოწეს-რიგების შესახებ და აგრეთვე ამ საგნისათვის განსაკუთრებულ საავთექო დადგენილებათა გამოცემის შესახებ.

*** **შეცდომის გასწორება.** ჩვენი გაზეთის გუშინდელ „სამეცნიერო ცნობაში," მეორე სვეტის მე-25 26 სტრიქონებში დაბეჭდილია: მეთევზეობას მისდევენ, ზოგან მეჯოგეობას უმთავრესად იქ მისდევენ, უნდა იყოს: მეთევზეობას მისდევენ, ზოგან მეჯოგეობას, ზოგან მიწის მუშაობას, მეთევზეობას უმთავრესად იქ მისდევენ,

*** **ქ. ბაქო. ალექს. როინაშვილის გამო.** სამწუხაროთ გვესმა მთელს ბაქოს ქართველ საზოგადოებას, რომ ალექსანდრე როინაშვილი მოუტაცნია დაუნდობელს და შეუბრალებელს სიკვდილს, სუყველა დიდი და პატარა გრძნობს, თუ რა გულშემატკივარი კაცი დაკარგა ქართველობამ, მაგრამ, დღეს იმაზე არ ითქმის მოკვდაო, ის არ მომკვდარა! კვდებიან მხოლოდ იმისთანა კაცები რომლებიც მარტო თავის კუჭისათვის შრომობენ.

განსვენებულმა მხოლოდ ბევრი შრომის შემდეგ ნათლად დაგვანახვა ყველა ქართველს, თუ რის გაკეთება შესძლებია პატიოსანის შრომით ადამიანს. რაც იმან ამდენ ხანს სთესა კეთილათ მოიმკო და დაისვენა, კიდეც ხოლო საქმენი და მოქმედებანი თვისნი მაგალითად და წასაბაძად დაგვიტოვა ყველა ქართველს.

ნეტავ იმას ვინც ალექსანდრე როინაშვილისავით ჩამოეცლება ამ წუთი-სოფელს.

იბოლი

*** **აჭარა. ყოფა-ცხოვრება ხალხისა.** დღეს საქართველოს ყველა კუთხეები ხომ აჭარაზე განათლებით მაღლა სდგას. 80-მდე წელიწადია, რაც ხან აქეთ და ხან იქით თავს ვაკლავთ და კიდევ ვწუწუნებთ — ესა და ეს კუთხე ჩამორჩაო. აჭარა ჯერ-ჯერობით სწავლა-განათლების თესლისათვის რომ უნაყოფო ნიადაგათ ჩავთვალოთ, ესეც დიდი შეცდომა იქნება. რასაკვირველია, ამ მთის ხალხს ადვილად ვერ შეაჩვევ სკოლას, მაგრამ თუ ხელი მოჰკიდა სწავლას, დანარჩენ ქართველებზე უნიჭიერესნი თუ არა, ნაკლები მაინც არ გამოდგებიან. მართალია, ქრისტიანობა ბევრის სისხლის ღვრის შემდეგ დაჰკარგეს, მაგრამ ნიჭი და მასთან ხასიათის სიფაქიზე ისევ ქართველური აქვთ: პირ-მოთნეობა, სიტყვის გადათქმა, მოტყუება ან გაიძვერულად სხვისი ლუკმით პურის ამოხორაგება აჭარლებმა არ იციან, რას ჰქვია. იმან სიტყვა მოგცა — არაფრის სარგებლობისთვის არ შესცვლის, თავის სიტყვას არ უღალატებს. ამასვე ითხოვს სხვისგანაც.

სხვისის ოფლით გამდიდრებას დაჩვეულ ტომის ხალხს აქ ფეხი ვერ მოუდგამს (თუმცა ადგილის მდებარეობა ხელს უწყობს) და თუ სადმე გაიჭაჭანა, გუდა-ნაბადსაც მალე აჰკიდებენ. ვერც ერთს ქრისტიანთან ისე საქმეს ვერ დაიჭერს აჭარელი, როგორც ქართველთან, რადგანაც იცის, იმასთან ნათესაური კავშირი აქვს. ასე უანდერძებია მისთვის მამა-პაპას და ეს ანდერძი ჯერაც გულიდან არ ამოფხეკია. სიფიცხეში და გამბედაობაში ვერც ერთი ქართველი ვერ შეედრება.

უბედურებაც ეს არის, რომ თუ რამე სიტყვა საჯაროთ წამოსცდა, ისეთი, რომლის შესრულებაც მისთვის საზიანოც შეიძლება დარჩეს, მაინც ეს უნდა შეასრულოს, თვარა ჯარში ხმა წართმეულად ითვლება. ამიტომაც აქ ხშირად სისხლის ღვრა ხდება, რომელსაც შემდეგ საშვილის-შვილო მტრობა და სისხლის ძიება მოსდევს. ამ სისხლის ძიებას რამდენი კაცი გადაუხვეწია ოსმალეთში, საიდანაც თვალ-ცრემლიანი გამოიყურებიან თავისს საყვარელ სამშობლოსაკენ და მართლ-მსაჯულებას ემალებიან. დამნაშავესათვის სიკვდილი ისე სამძიმო არ არის, როგორც სატუსაღო. სიკვდილზე აი რა ნაირი რწმუნება აქვთ: თუ ბედი არ არის, კაცი არ მოკვდებაო. როცა ერთი-მეორეს კლავს, ალბად ასე უწერია და ვერ ასცილდებაო. საზოგადოდ ცრუ-მორწმუნოებას აჭარაში ძალიან აქვს ფეხი გადგმული. თვით აქაური რჯულის წარმომადგენლებშიაც ხშირად შეხვდებით ამ ცრუ-მორწმუნეობით შეიარაღებულებს შელოცვ-გამოსალოცავად, ნუსხის დასაწერათ და შიგ განსაკურნებლათ ავათმყოფთან ხშირად მოლა მიჰყავთ. ამის გადასაჩვევად ლაპარაკი უცხო კაცს აქ დიდი სიფთხილით უნდა. საზოგადოდ უცხო კაცის ამ ქვეყანაში ცხოვრება, ნამეტნავად თუ რაიმე უფლებით არ ცხოვრობს, ძალიან წინ დახედული და ათასჯერ გალარული უნდა. თუ აჭარელი გენდო და მოეწონე ეს იცოდე სიცოცხლეს განაცვლებს. ავს თუ ვინმე არ უშვრება ამაზე დარწმუნებულია, მისი ერთგული [illegible] მოსამსახურეა, მაგრამ მეორე მხარეც [illegible] ქუდის (фуражка) დახურვას. იმის დახურვის შემდეგ შენთან ნდობას ჰკარგავს. თუ ვინმემ ხუმრობით აჭარელს ეს ქუდი დაახურა, ეს იმის ტოლია, რომ ღორის ხორცი გეჭმევიოს მისთვის.

აჭარელი ხასანი

*** **ახალ-სენაკი. დაბის უკან ჩამორჩენა.** მოგეხსენებათ, რომ ახალ-სენაკი მთელს სამეგრელოში ერთი უპირველესი და თვალ-საჩინო დაბად ითვლება. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც მდებარეობა ამ დაბისა და სხვა და სხვა დაწესებულება ამა თუ იმ საქმისა, დაბას სრულს ნებას აძლევს, რომ ყოყოჩობა დაიწყოს და მამალივით ხმა მაღლა ყივილით შეაშინოს სხვა დაბები. მაგრამ არ იფიქროთ, ვითომც აქაურების ჰკუა ფხიზლობით მიდიოდეს სენაკი წინ, არამედ მთავრობის მოწყალე თვალით.

ახალ-სენაკი მუდამ სხვისი კალთის შემაცქერალი, მუდამ ხ[...] მშრალი და უთავო ყოფილა, [...]ფილა და კიდეც იქნება იქამდ[ე] ვიდრე ამ დაბის რიგიანი და გ[...]ნებითი ფხიზელი მოთავე კაცი ა[...]ეყოლება. ეს იქიდანაც მტკიცდ[ება], რომ ყოველ მიყრუებულ დ[ა]ბა-სოფლებში იმართება იარმუკობა და სხვა რაიმე სასარგებლო საქმე, რომელიც ცოტად თუ ბევრად აღებ-მიცემობას და ვაჭრობას აცხოველებს. ახალ-სენაკს კი სძინავს და ხვრინავს იქნება მთლად საღათას ძილით დაავადდეს. თორემ აბა ეს რა ღვთის წყრომაა, ამდენი ძილი?.. რისთვის უნდა სჩიოდეს ახალ-სენაკელი მოვაჭრე: „ვაჭრობა არა გვაქვს და ლამის დავიღუპნეთ"-ო და სხვა. ნუ თუ მათი ბრალი არ არის ეს? რისთვის არ მისცეს წინადადება იმ დეპუტატებს დაბისას, რომელიც ამას წინად აირჩიეს, რათა მათ დიდი მხნეობა გამოეჩინათ დაბის კეთილდღეობაზედ. ნუ თუ ახალ-სენაკი ღირსი არ არის იარმუკობისას რას უნდა შეეშალა ხელი ამ საქმისთვის თუ არ უთავობას! მაშინ როდესაც მიყრუებულ სოფლებშიაც კი არის დაარსებული იარმუკობა, ხოლო ახალ-სენაკს კი რა ცოდვი[ს] ბრალმა გამოაცალა სიქა? სირცხვილი სენაკისა და დიდად სირცხვილი, მოვაჭრეებისა და მცხოვრებლებისა მათი ასეთი უკან ჩამორჩენისათვის სხვა დაბებზე.

ზემოხსენებული ჩემი წერილის და[...] სამტკიცებლად და ახალ-სენაკე[...]ლების თვალის ასახილველად მო[...]ვიყვანთ ერთს გარემოებას: სოფ. ძველ-სენაკში დიდი ხნიდან [...]დინარეობს ყოველ ამაღლება დღეს იარმუკობა, სადაც სავაჭროთ მრა[...]ვალი ხალხი იყრის თავს. წელს-კი სოფ. ძველ-სენაკელები სულ სხვა ნაირად მოიქცნენ. ხალხის ბევრმად მოსაწვევად და ვაჭრობის გა[...] საცხოველებლად მარულა (დოღ[...]) მოაწყვეს რასაკვირველია, [...] ფულიც შეჰპირდნენ მარულ[...] ჩუქრათ. ამით იმდენი ხა[...] ზიდეს, რომ ტევა არც [...]

…ჰრობაც გაჩაღდა. აქ ახალ-სენაკი მოვაჭრეები თუ მცხოვრებიც …ვალი წაბრძანდა, რომლებსაც … მცირე რო ვიანგარიშოთ …ლში თუ ცხენის ქირა ოცდაათ …მანზე მეტი დაუჯდათ. მოხერხულმა ძველ-სენაკელებმა ისეთი …ეები იხმარეს, რომ სწორეთ იმ …ოს, როდესაც დოღი უნდა გა…ათ დანიშნულ ადგილზე, ასტეხეს …ხუები და ერთი ვაი-ვაგლახი … არც დოღი ანახა ახალ-სენაკელებს და არც მქადის ნატეხი. უკა… გაბრუნდნენ ახალ-სენაკელები …ტად მოტყუებულნი და ხახა…ალნი. ხერხიც ამასა ჰქვიან! …რამ სად არის ახალ-სენაკელთან …ა და მოხერხება? იმ ფულით …ლ-სენაკელებს თითონ გაემართა …ულა, უფრო არ ესიამოვნებოდა? განა ორ იმდენს არ გადაი…რიდნენ და მარულაში მიცემულ… ერთი სამად არ აიღებდნენ? …ანკაო არის ისეთი ღვთისნიერი …ვე კაცი? დროა კია მე და ჩემ… ღმერთმა, ცოტა გამოიღვიძონ …ლ-სენაკელებმა, თორემ ჟარესს …ცხვილს აჩვენებს სოფ. ძველი…

ტელეფონი

**სოფ. სინგოთი** (ართვინის …) **მკვლელობა და დაჭრა.** 13 … ს. სინგოთში მოხდა მკვლელ… …ლი შვილის მძიმედ დაჭრა … სოფლის ერთი მცხოვრე… რომელთა მორჩენის …ბაალდ აქვთ. ამ ქალი… მეუღლე ალი-ქუჩუკ-კიზიმ … მისცა მოკლულის ძმას, … ცოლად გამოგყვებიო-ამაზე … თანხმობის წინადადება: … დანიშნა დრო და ადგილი … იგი უნდა მოეტაცა… 13 მაისს ეს ქალი მუშაობდა … ქალებთან ზათომ-ართვინის გზის მახლობლად, სა… …ენ მისი საქმრო, საქ… ოსმანი და მაჰმედ ქე… რომლებმაც წაიყვანეს … მასთან მომუშავე ქალ… ყვირილი. ეს ყვირი… მათ მილიციონერებს … თან ახლდნენ ფოსტას, … ფოსტა ამ ადგილს 1/2 ვერ… გაშორდა, ორმა მილიციონერმა მიატოვა ფოსტა, მოირბი… ამოეფარნენ ქვებს და … როლა; ვერავითარმა ხვე… ამ მახლობლად მომუშა… რებლებისა და აგრეთვე … მტაცებლებისამ ვერ შე… მათ თოფის სროლა; … მტაცებლებს არც ერთი … გაუსვრიათ და უყვირო… წაიყვანეს ქალი, … სროლით შეს… მკვ… დაიმალნენ, ერთი მათგა… მამედ ალი-ოღლი ამ … წინად მიღებულ იქმნა …ერად. ქალიშვილი დაჭ… ბეჭში და სამი … დამსხვრეული აქვს … მამედ ქალიშ-ოღ… …ში აქვს მოხვედრილი … ოსმან მუჩქე… მოკლა პირში მოხვედ… კისრიდან გავარდნილის…

**სამტრედია.** … ხარაჯებულთა განზრახვა. …ც გადმოსცეს, განზრახვა ჰქონიათ იმ მემამულეებს, რომლებიც დიდს ზარალს ასცდნენ, შეჰკრიბონ ფული ამ დღეებში და სადილი გაუმართონ იმ რკინის გზის მოსამსახურეებს, რომლებმაც ცეცხლის საქრობ მანქანებით თუ თავ-განწირულის მეცადინეობით დაიხსნეს ზემოხსენებული მემამულეები დიდი ზარალისაგან. ეჭვი არ არის, რომ დიდი მადლობის ღირსნი არიან ის რკინის გზის მოსამსახურენი. ყველა იმას გაიძახის: „მთელი სამტრედია გადიბუგებოდა, რომ რკინის გზის მოსამსახურენი არ მოგვშველებოდაო". მართლაც-და ზოგიერთები ამ გაჭირვების დროს დახმარების მაგიერ სულ იმის ცდაში იყვნენ, რა ან როგორ გაეტაცნათ. აი ერთი მაგალითიც: ერთი იმერელი კონდუქტორი, რომელიც თავ-გამოდებით ეხმარებოდა გაჭირვებულებს და ცეცხლს აღარ ერიდებოდა, ამ დროს ერთმა ქურდ-ბაცაცამ ამოაცალა უბიდან საათი, მაგრამ მალე დაიჭირა და წაართვა საათი, ის-კი არხეინად გზას გაუდგა. თუმცა ადგილობრივმა ბოქაულმა ბევრი იმეცადინა მოვაჭრეებს საქონელი არ დაჰკარგოდათ და ბევრსაც გაუხურეს ხურგი მათრახებით, მაგრამ მოვაჭრეებმა მაინც ვერ აიცდინეს საქონლის დაკარგვა, რის გამოც ბევრი ზარალი ნახეს.

ანტონასშვილი

**ს. ზემო-ნიქოზი** (ქართლი) **შესანიშნავი დღეობა.** მრავალის-მრავალჯერ მომხდარა ყოველგან დღეობა, მაგრამ იშვიათად თუ სადმე ისე მშვიდობით და შესამჩნევათ ჩაუვლია, როგორც ს. ზემო-ნიქოზში წელს „ამაღლებამ" ჩაიარა. მშვენიერი ამინდიც კი ხელს უწყობდა მიმსვლელთ მლოცავთ, რომელნიც ფრიად კმაყოფილნი დარჩნენ მშვენიერის წირვის მოსმენითა. წირვაზედ გალობდნენ საგანგებოთ მოწვეულნი ადგილობრივი მღვდლისაგან სოფელ მეღვრეკისის სამრევლო-საეკლესიო სკოლის მოსწავლენი, ქალნი და ვაჟნი თვისივე მასწავლებლის ბ-ნ ციციშვილის ლოტბარობითა. წირვის შემდეგ გარდახდილ იქმნა სამადლობელი პარაკლისი ზარისრეკითურთ და ადგილობრივმა მღვდელმაც წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ნათლათ და ესამჩნევად დაუხატა მსმენელთ მნიშვნელობა ორნაირი დღესასწაულისა, საზოგადოება დიდძალი დასწრო, მართალია მთელი სოფელი გაჭედილი იყო ხალხისაგან, რომელთა შორის იყვნენ დაბა ცხინვალის ინტელიგენცია, ქვემო ქართლის და ზემო ქართლის თავად-აზნაურნი. დღეობამ ჩინებულად ჩაიარა და იყო მით შესანიშნავი რომ მხიარულობის და სიტკბოების მეტი არა მომხდარა-რა. მეტად ნასიამოვნები დარჩნენ ქ. დამსწრენი ერთის წლის შეგირდების ასე წყობისად და მშვენივრად გალობისაგან, რომლებმაც დიდი გავლენა იქონიეს, ადგილობრივი მკვიდრთ შვილებზე როგორც გავიგეთ, მართლაც და საგანგებოთ ყოფილიყვნენ მოწვეულნი ადგილობრივი მღვდლის-რათა თვალით დაენახვებინათ. მაგალითი თუ ერთი წლის სწავლით რა ნაყოფი შეიძლება შეიძინონ მათმა შვილებმა. ყველა ამასთან არ შეგვიძლიან არ მოგახსენოთ, რომ ცოტა რამ ნაკლულევანებაც კი შევამჩნიეთ: ეკლესიაში სანთელი არ იყო გასასყიდი და ყველა იძულებული ვიყავით ცარიელი ხელ-ცარიელი დავრჩენილიყავით. როდესაც ვიკითხეთ თუ მიზეზი რა არის და აღმოჩნდა რომ ადგილობრივი კრებულის ბრალი კი არა ყოფილა, არამედ დაბა ცხინვალში მყოფის წმ. სანთლის საწყობისა, სადაც ათჯერ მიუმართავთ და ათჯერვე ხელცარიელნი დაბრუნებულან. ნუ თუ წმ. სანთლის საწყობის გამგეს თვალყური არ უნდა ეჭიროთ ამისთანა საქმეზედა, რომ ორნაირი დღესასწაულია. ამაღლება და დაგვირგვინება დღეს საწყობში სანთელი არ იშოვებოდეს. ამითიც ხომ ორნაირი ზარალია და საზოგადოებას საყვედურისაგანაც კაცი ვერ გამოდის. ვითომდა კომისიაც კი დაუნიშნია მთავრობამ სანთლის საწყობსაო, მაგრამ როდის მოვესწრობით მათ კეთილს ნაყოფსა ეგ „ვაჰილამ" უწყის.

რზველელი

**ს. სანახშირე** (იმერეთი). **ქურდობა.** ქურდობამ ნელ-ნელა მოიდგა ფეხი ამ ბოლო დროს. ამ ორი კვირის წინად, ერთ აქაურ გლეხს საბალახოზედ საუღლე ხარი მოჰპარეს დღით. ეჭვი აიღო ისევ ერთ აქაურ გლეხზედ, რომელმაც რამოდენიმე პირის თანადასწრებით უთხრა ხარის პატრონს „რას მომცემ შენი ხარი რომ მოგგვაროვო". ხარის, პატრონს ადგილობრივი მამასახლისისათვის მიუმართავს თხოვნით ოქმის შესადგენად და საქმის გამოსაძიებლად მაგრამ მამასახლისს ჯერეც არ მოუყვანია საქმე სისრულეში.

ჩვენს სოფელს პატრონობა და მფარველობა უნდა, მაგრამ ვინ არის გამკითხავი?

მეზობელი

**ჯუმათი.** გზობა. სად. ჯუმათი მდებარეობს ლანჩხუთ და სუფსას შუა. ჯუმათისკენ წასასვლელად პირს რო დაიკავებთ ფიქრობთ: მივდივარ, მარა კი მივდივარ ერთს განთქმულ, სახელგანთქმულ სავაჭრო ბაზარში. ამას გაფიქრებინებს ის მრავალ შტოიანი გზები, რომლებსაც სად. ჯუმათისკენ აქვთ პირი. მშვენიერი გზატკეცილი ლანჩხუთიდგან ჩიბათის საზოგადოებას გაივლის და სად. ჯუმათში ამოჰყოფს თავს. ასეთივე გზა ჯურუყვეთის საზოგადოებიდან გაქანებული ჯუმათში სამუდამოდ გაჩერდება. ჯუმათის საზოგადოებიდგან მომავალი შარა გზა გამოივლის ს. ყელას, ჯვარის-მერეს, მერე შეუერთდება ჩოჩხათის საზოგადოებიდგან მომავალ ფართო შარა გზას, დიდის ამაყობით გაივლის ს. ებალაურს და ჩამორიხინდება სად. ჯუმათში. ყველა გზები თავმოფრილი ღომხალივით აირევიან ერთმანეთში და ვეღარ გამოიცნობთ რომელი სად მიდის. აქ გზების თანაბრად მგზავრებიც გაჩერებულია. უნდათ გაემგზავრონ სად, სუფსაში და მერე იქიდგან ქ. ფოთში: მიაქვთ ფქვილი, ღომი, ღვინო, ძარით წიწილები და ბევრი სხვა რამეები. მიდიან და მიაქვთ, მაგრამ როგორ, რა გზით? სუფსაში რკინის გზის მეტი გზა არ მიდის. თვე ნახევარი გოლვა თუ არის, მაშინ ხო კიდევ შესაძლოა, კარგის პირჯვრის წერით, გავიდეს მგზავრი თავის ხიზაკით. ცხრა ვერსის მანძილზედ „ზამლობამდინ" უნდება გზას მგზავრი, ეს ზაფხულობით, გოლვის დროს და ზამთრობით დაეთხოვე და გაუშვი. გაჭირვებული მგზავრები სუფსიდგან გრიგოლეთ-მალთაყვის გზით ქ. ფოთში ჩავლენ. გრიგოლეთ-მალთაყვის გზის კეთებას, ბრძანებით, შეუდგენ ზემო ხსენებული საზოგადოება, ბევრი სხვების დახმარებით და კიდევაც კარგათ მიდეს საქმე, მაგრამ ჯურყვეთლების, ბაღლეთლების, ლესელების და ამ მხარეს მცხოვრებ გლეხების ცოდვას ვინ გაუძლოს? ამათ აკეთეს და გააკეთეს გზა დასაწყისში სად. ჯუმათამდინ. აკეთეს და აკეთებენ დასალიერს—სუფსიდგან გრიგოლეთამდინ და შუაში—ჯუმათიდგან სუფსამდინ მომრიო ტალახს კი სტოვებენ, ასეთ ფონზედ თქვენ იდექით თუ კაია? შუამდინ ცხენით შეფონეთ, შუაზე ცხენი შაცურეთ და თუ გადარჩეთ, მერმე გაიშრალე თქვენის ხურჯინით.

რისთვის არ აკეთებენ ჯუმათსა და სუფსას შუა გზას? ჯურუყვეთის საზოგადოებამ სთქვა: „მე ს. ჯუმათამდის მოვიყვანე გზა და ამას ქვემოთ არადანში ჩოჩხათის საზოგადოებას ერგოო". ჩოჩხათიცა გრძნობს გზის საჭიროებას და ჯურუყვეთის სიმართლესაც ამაში, მაგრამ იგი ელის ბრძანებას და ბრძანების დროს განაცხადეს: „მარტო მე ვერ შევიძლებო" და მართალი ღაღადებაც არის—ჩოჩხათს სიმართლე უყვარს. მაშ ბრძანება რომ ღმერთმა მოგვასწროს, თქვენის ბედნიერობით, ვინ დაეხმაროს მათ?—იმან, ვისაც იგი (გლეხი) მუდამ ჟამს ეხმარება: მღვდელმა, ბერმა, თავადმა, აზნაურმა, წამსვლელ-წამომსვლელმა, ამ გზის პირათ ტყეში მომუშავე მეურმეებმა და ტყის პატრონ აზნაურებმა. ერთის სიტყვით, იგინმა, ვისთვისაც გზა საჭიროა, თორემ დაგვიჩემებია გლეხი და გლეხი... გაუხმება ამ ჩვენს გლეხს, ჩვენს სიცოცხლეს ძირი და რა ყვავილებს და ფოთლებს გამოვიბამთ, ქე დავინახავთ მაშინ!..

იმედია ამ გზის შესახებ ბ-ნი დ. ლანჩხუთის ბოქაული ახალ მაზრის უფროსთან როდისმე საუბარს ჩამოაგდებს; და თქვენ, აზნაურებო, მიხედეთ ს. ბახვის აზნაურთ და სამღვდელოებათ, რომლებმაც გზების გაყვანისათვის ორი წილი მეტი იშრომეს გლეხებზე და ამით მათ ჩირქი არ წასცხებიათ და არც ღირსება მოჰკლებიათ..

აილოკ ჯ.

## სამეურნეო ცნობანი

ახლად ამოსული ჭირნახულის მოვლა. სიმინდისა, ბამბისა, მუხუდოსი და სხვა საყანე, საველე და საბოსტნე მცენარეთა ამოსვლის შემდეგ საჭიროა, რაც შეიძლება საჩქაროდ შევუწყოთ ხელი მათ გამაგრებას, ფესვების უკეთესად გადგმას, ბალახ-ბულახისაგან … და თუ ხშირი ნათესია, ერთი მეორისაგან მეტის შევიწროების შემდეგ ადვილად გაძლებას. მიტომ როგორც კი ამოვა ჭირნახული უნდა საჩქაროდ მოვწყვიტოთ … ბალახ-ბულახი … საჭიროა მიწის ზედა-პირის ერთიანად გათოხნა, განსაკუთრებით თვით მცენარეთა მახლობლად. სრულიადაც ნუ იფიქრებთ, თითქო თავდაპირველად ჭირნახულის მოსავლელად სრულებით საკმარისი იყოს მარტო ბალახ-ბულახის მოსპობა და თითქო ამიტომ სადაც ბალახ-ბულახი არ არის, იქ არაფერი გეთება არ იყოს საჭირო. პირ-იქით, ბალახ-ბულახი იქნებ სულაც არ იყოს; ხოლო მიწის გათოხნა, რაც შეიძლება, ადრე უნდა დაიწყოთ, რომ მოსპოთ ქერქი მიწის ზედა პირზე; თუ იგი ჟამზე გაჩნდა, და ყოველ შემთხვევაში, სქელი მიწა უნდა გავაფხვიეროთ, რადგან სქელი მიწა ძალიანავიწროებს ჭირნახულის ზრდას, ხეირიანად არ უშვებს თავის შიგნით სინათლეს და ჰაერს და მეტად აძლიერებს სისველის ამოშრობას ნიადაგის ქვედა ნაწილებიდან; ხოლო ყოველივე ეს ერთად ძლიერ შეუხრუჭებს და ხელს უშლის ჭირნახულის ზრდასა და დამწიფებას.

ერთი სიტყვით ამისათვის, რომ დავაჩქაროთ ჭირნახულის ზრდა და რომ შევძლოთ მისი უკეთესად გამაგრება, რომ აგრეთვე დავიცვათ ნიადაგის გამოშრობა და, მაშასადამე, დიდ ხნობამდე არ იქნეს საჭირო ჭირნახულის მორწყვა, რომელიც ძალიან აფუჭებს ნიადაგს ყოველ მხრით, მაგალითად: მეტად აცივებს, ასქელებს, ძლიერ ხეთქავს, ბალახ-ბულახით ავსებს და სხ. და სხ.; ხომ ყოველივე ეს თავიდან ავიშოროთ, საჭიროა, რაც შეიძლება ადრე მოსპოთ ბალახ-ბულახი, გათოხნოთ ნიადაგი, გამარგლოთ ჭირნახული და შემოვყაროთ ძირში ფხვიერი მიწა. სამწუხაროდ, კავკასიაში სულ წინადადებ სურათს ვხედავთ ყანებში, ე. ი. ჩვენში ყველგან ბალახ-ბულახი მეტად მრავლდება, ჩაგრავს ყოველ-გვარ ჭირნახულს სწორედ იმიტომ, რომ ჩვენ ყოველთვის და მეტის-მეტად ვაგვიანებთ პირველ მუშაობას, შემდეგ-კი სრულიად შეუძლებელი ხდება ჩვენთვის ძლიერ გამრავლებულ და ფესვ-გადგმულ ბალახ-ბულახის გასადგურება. ამ სახით ამ მუშაობის დაგვიანება ნიშნავს საქმის წახდენას, დამწიფების დაგვიანებას, მოსავლის შემცირებას და ხარჯების შესამჩნევად მომატებას ზაფხულში ბალახ-ბულახთან ბრძოლის დროს, როცა მუშებიც ნაკლებად იშოვებიან და უფრო ძვირად ჯდებიან, თუ გვსურს მთლად არ მოვუღოთ ბოლო მოსავალს.

(„Кавказ. Сел. Хозяйство").

## სხვა-და-სხვა ამბები

თმის მღებავ პირთა საყურადღებოდ. ამ ბოლო დროს ვაჭრები განსაკუთრებული გულმოდგინეობით სძლევნიან რეკლამებს და აქებ-ადიდებენ ერთგვარ თმის საღებავს, რომელსაც ვითომ ის უპირატესობა აქვს სხვა ამ გვარ საღებავების წინ, რომ ამ საღებავით შეღებილი თმა ძალიან დიდხანს რჩება შავადაო. რადგან ეს „მშვენიერი" საღებავი მართლაც მოსწონს მრავალ ჭაღარა მამაკაცებს და დედაკაცებს, ამის გამო საჭიროდ მივაჩნია გავაფრთხილოთ ისინი: ხსენებული საღებავი არის ერთი იმ ნივთიერებათაგანი, რო-

შედიც ძალიან აზიანებს თმასა და კანს იწვევს ძლიერს ანთებას და თმის ცვივნას. ამას წინად ფრანგულ გაზეთებში გამოცხადებული იყო რამდენიმე შემთხვევა მთელი თმის ჩამოცვივნისა ამ „მშვენიერი" საღებავის ხმარების შემდეგ, აგრეთვე შემთხვევები გამოცხადეს პარიჟის დერმატოლოგიურ საზოგადოებაში: ერთ დამჯერე მანდილოსანს „მშვენიერი" წაღებავის გულმოდგინეთ ხმარების შემდეგ სრულიად ჩამოუცვივდა თმა, ასე რომ, ბოლოს და ბოლოს შესაღებავი აღარა დარჩარა თავზე. ხსენებულ საზოგადოებაში გააცხადეს აგრეთვე, რომ აღნიშნული საღებავი არა მარტო თავზე აჩენს ძლიერ ანთებას, არამედ ეს ანთება ადვილად გადადის პირისახეზე და იწვევს საშინელ ქავილს, რომელიც ხშირად მრავალ დღეს გასტანს.

—

საინტერესო წიგნთ-საცავი ვაშინგტონში. ამ დღეებში ვაშინგტონში გააღეს ახალი წიგნთ-საცავი, რომელიც დაჯდა ორმოცი მილიონი დოლარი. საზოგადოება ვერ დაინახავს ვერც ერთ მსახურს წიგნთ-საცავისას, მაგრამ ყოველი მისი სურვილი სამაგალითო სისწრაფით აქნება ასრულებული. რომელიმე წიგნის მიღების მსურველი მოიძებნის რა ნომრის ქვეშ არის აღნიშნული ეს წიგნი კატალოგში, შემდეგ წიგნის ნომერს ჩადებს თუნუქის კოლოფში, ეს კოლოფი ელექტრონის მავთულის შემწეობით მივა მსახურებთან და ესენი-კი მეორე ელექტრონის მავთულის შემწეობით აწვდიან წიგნს მკითხველს. ერთი დარბაზი დანიშნულია ბრმებისათვის, რომლებიც კითხულობენ აქ ამობერილი ასოებით დაბეჭდილ წიგნებს.

—

მცურავი სტამბა. ჩრდილო ამერიკის სამხრეთით, ალაბამის შტატში, არსებობს მეტად უცნაური სტამბა. Commerce-ის ქუჩა ქალაქ მონგომერში გადის პირდაპირ მდინარე ალაბამაზე და აქ დგას ღუზაზე პატარა გემი, რომლის შიგნით გამართულია სტამბა. გემის პატრონს თავის ცოლით და 5 შვილით დაჭერილი აქვს გემის ერთი ნახევარი; მეორე ნახევარში კი მოთავსებულია კანტორა, ოთახები ასოთ-ამწყობთათვის და სტამბა. როცა საღამო ხანს ჩამოიღებენ ნაპირთან გემის შემაერთებელ პატარა ხიდებს, ეს იმას ნიშნავს, რომ სტამბამ შესწყვიტა მუშაობა და აღარ იღებს მომსვლელებს. სტამბის პატრონი აუარებელ ფულს ხვეტავს, რადგან მას არ ხდება არც ბოშლინები, არც ბინის ქირა; ამიტომ მას უფრო იაფად შეუძლია მუშაობის ასრულება, ვიდრე მის მეტოქეებს ხმელეთზე, და ყოველთვის აუარებელი სამუშაო აქვს.

## დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

21 მაისი

**ნიუ-იორკი.** კვირას, შუაღამისას, ისპანიის ორი გემი გავიდა სანტ-იაგოდან და ცდილობდა ამერიკის გემების დალუპვას. მათ გაიარეს ნაპირთან ორი მილი, როცა გემის „Pexas"-ის აფიცრებმა დაინახა ისინი საჭვრეტი შუშით; მათ მიუშვირეს ორი ელექტრონის რეფლექტორი, და მაშინ ისინი სწრაფად მივიდნენ „Pexas"-თან, რომელმაც დაუყოვნებლივ დაიწყო სწრაფ-სასროლ იარაღთა სროლა და იმდენი ყუმბარა მიაყარა, რომ ისპანიელები იძულებულნი შეიქნენ დამალულიყვნენ პორტში. ისპანიელებს არ გაუსვრიათ ზარბაზნები, თუმცა „Pexas"-ს 300 იარდზე მიუახლოვდნენ.

**კივესტი.** გემი „Florida" დაბრუნდა აქ მას შემდეგ, როცა მან კუბაზე 400 კუბელი გადაასხა, რომლებიც გენერალის ლაკვეტის უფროსობის ქვეშ გაგზავნილ იქმნენ ტამპიდან, დიდძალი თოფებით და ტყვია-წამლით.

**ვაშინგტონი.** ზღვის სამინისტროს არ მიუღია არავითარი დასამტკიცებელი საბუთი პორრო-ო-პრესიდან მოსულ დეპეშისათვის სანტ-იაგოსთან მომხდარ ომის შესახებ.

**მადრიდი.** ზღვის მინისტრმა დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამერიკის ესკადრა დამარცხდა სანტ-იაგო-დე-კუბასთანაო. ისპანიის ფორტებმა და სერვერის ესკადრამ უკუ აქციეს მტრის გემები, რომლებმაც უკან დაიხიეს ავარიით. ისპანიის ესკადრას არა დაშავებია რა.

**ლონდონი.** პორტ-ო-პრენსიდან მოსული დეპეშა ამტკიცებს გუშინ სანტ-იაგოსთან მომხდარ ომს. ამერიკელებს ჰქონდათ 14 გემი, მათ შორის საომარი გემი „New-Iork". მრავალმა პატარა გემმა ზარბაზანი დაუშინა სანაპირო ფორტებს მურროს, ლაზეკაას და პოსტავონდას, რომლებიც შესამჩნევად დაზიანდნენ. 4 საათზე ზარბაზნების სროლა შესუსტდა, მაგრამ ჯერ კიდევ რამდენსამე ხანს მოისმოდა ზღვიდან და შემდეგ-კი სრულიად შესწყდა.

**რომი.** კაბინეტის შედგენა დაუყონებლივ დამთავრდება. ზოგიერთი გაზეთების სიტყვით, სამინისტრო შესდგება ამ სახით, რუდინი პრეზიდენტი და მინისტრი შინაგან საქმეთა, კაპელლი გარეშე საქმეთა, გენერალი სან-მარცო-სამხედრო, ბონაცცი-სასჯულო საქმეთა, გენერალი დე-რივერა, საზოგადოებრივ სამუშაოთა, ლუცატი-ხაზინისა, ბრანკა-ფინანსებისა, კანევარო ზღვისა, სენატორი კრემონა სახალხო განათლებისა, პროლა-ფოსტა-ტელეგრაფისა, სენატორი სერენა ანუ დეპუტატი პინკია მიწად-მოქმედებისა.


## განცხადებანი

ქართველთა ამხანაგობის
გამოცემანი
იყიდება საკუთარ კიოსკში, ქაშვეთის ეკ-(კლესიის პირდაპირ, ბაღის კუნჭულში)

| | |
|---|---|
| თხზულებანი ა. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და იგივე მე-IV ტომი მშვენიერს ქაღალდზე და მშვენიერსავე ყდით (თითო) | 2—50 |
| თხზულებანი ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | „—80 |
| იგივე მშვენიერი ყდით | 1—25 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა, ლეგენდა- | |
| პოემა ბახანასა | „ 25 |
| სადხური ზღაპრები I ნაწილი | „—30 |
| იგივე კარგს ქაღალდზე, მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი III | 1—„ |
| იგივე ტომი IV, იზა, ორი წიგნი | 1—60 |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 3—„ |
| ჩანგი | 1—„ |
| სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა | 0—20 |
| თხზულებანი აკაკისა, ტომი I | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| იგივე ტომი II | 1—„ |
| იგივე კარგს ქაღალდზე მშვენიერი ყდით | 2—50 |
| არაკები, საბა ორბელიანისა, ბავშვებისთვის | |
| სიბრძნე-სიცრუვე, მისივე | „—57 |
| იგივე კარგს ქაღალდზე | 1—50 |
| სამზარეულო ქართული ევროპიული საჭმელებისა | 1—50 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა, ტომი I, სურათით | 1—„ |
| იგავ-არაკნი, მისივე | „—20 |
| ღვინის დაყენება, პროფესორის ვ. პეტრიაშვილისა | 2—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ქ. ტფილისში თ. ა. ყაზ.-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანისა | „—25 |
| საქართველო და მისი ისტორიული წარსული დრო, ვ. პოტტოსი | „—40 |
| მეფე დავით აღმაშენებელი და მისი დრო, ისტორიული მონოგრაფია ნ. ურბნელისა | „—50 |
| ივენგო, რომანი ვალტერ სკოტისა | 1—„ |
| ცეცხლით და მახვილით, რომანი გ. სენკევიჩის, | 1—50 |
| დასტურ-ლამა თხზულებანი ნიკოლოზ დადიანისა | „—25 |
| გაბრიელ ეპისკოპოსი იმერეთისა, სურათით | „—30 |
| სიბრძნე ბალავარისა | „—30 |

(100—76)

ცნობილი ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-გარმონიები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხვ.



ყოველ ამ სამუსიკოარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ წვრილად გადახდით.

—

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

—

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა
გ. მ. მირიმანიანისა
Музыкалчное депо
Б. М. Мириманiана
Тифлисъ, Дворцов. ул.
(54—12)

Годъ II. На 1898 годъ продолжается подписка на иллюстрированное ежемѣсячное изданiе Годъ II.

**НОВЫЙ ЖУРНАЛЪ ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ ИСКУССТВА и НАУКИ**

**Болѣ 1.500 иллюстрацiй на лучшей бумагѣ**

Въ вышедшихъ трехъ книгахъ (январьской, февральской и мартовской) а 350 иллюстрацiями напечатаны:

**33 стъ** тсовременнаго интереса, по литературной критикѣ, по вопросамъ общественнымъ и научнымъ.

**Иллюстрированая заграничная хроника:** болѣе 55 статей и замитокъ на современныя темы; изъ прошлаго, литературныхъ художественныхъ и научнымъновостей, хизъ артистическаго мiра, изъ иностранной журналистики очил.е

**СЪ ОСОБОЙ НОМЕРАЦIЕЙ СТРАНИЦЪ:**

ЧЕЛОВѢКОЛЮБIЕ—ИСТИНА—ПРАВОСУДIЕ (письмо къ Францiи) **ЭМИЛЯ ЗОЛА.**

ПЕРЕПИСКА РЕНАНАIСЪБЕРТЕЛО (О положенiи Францiи послѣ 1870 г.)

ПИСЬМО ЭМИЛЯ ЗОЛА КЪ ФЕЛИКСУ ФОРУ.

**ПРОЦЕССЪ ЭМИЛЯ ЗОЛА** (Подробное описанiе 16-ти засѣданiй суда, изо дня въ день съ иллюстрацiями).

**РОМАНЫ, ПОВѢСТИ И РАЗСКАЗЫ:** ОПОРА СЕМЬИ. Романъ **Альфонса Додэ.**

АРИЖЬ. романъ **эмиля зола.**—СЕНЪ-МАРСЬ или заговоръ въ Рцарство Якпе Людовика XIII. АЛЬФРЕДА ДЕ-ВИНЬИ (съ рисунками).—А АФНЫ, тiнорическiй романъ **георга эбберса.**—ПРИКЛЮЧЕНIЕ ПОДЪ ННОЕ ГОДЪ. Пазсказъ **цщокке.**—ДЯДЯ ДЖИМЪ И ДЯДЯ БИЛЛИ. .сИс-осс вѣстъ **бретъ гарта.**—ЖИЗНЬ И СМЕРТЬ. 4 разсказа **амброаза бир**авал англiйскаго).—КАКЪ Я ПОМОГАЛЪ СВОЕЙ СУДЬБѢ и что изъ этого вышло. Юмористическiй разсказъ СТОКТОНА (съ англiйскаго).

Съ Февральской книги печатается ПЕРЬЫЙ ПЕРЕВОДЪ анаменитой эпопеи

РАБЛЭ

**Необычайно диковинная жизни Гарагантюа**

(Съ Французскаго текста XVI вѣка) СЬ ИЛЛЮСТРАЦIЯМИ ДОРЭ

РААЛЭ—родоначальникъ новѣйшаго реальнагоромана. Воодушевленный новыми просвѣтительными идеями Возрожденiя. Раблэ въ фантастической формѣ сказочнаго вымысла аатрогиваетъ множество вопросовъ ебщественнаго значенiя осмѣиваетъ заблужденiя и пороыи своего вѣка, предразсудки, угнетавшiе мысль и свободу личности, ратуетъ противъ нетерпимости. схоластики ишарлатанства въ наукѣ. Его эпопея отличается занимательностью картинъ огатствомъ идейнаго содержанiя, характерными образати, живыми дiалогами беистощимымъ юморомъ. каламбурами, шутками и остротами.

РИССУНКИ ГУСТАВА ДОРЭ, иллюстрирующiе шагъ за шагомъ текстъ Раблэ въ его мельчайшихъ подробностяхъ, сами по себѣ составляютъ замѣчательное явленiе въ области французскаго художественнаго творчества принадлежатъ къ наилучшамъ произведенiямъ этого знаменитѣйшаго изъ рисовальщиковъ XIX вѣка.

Въ ближайшихъ книгахъ будутъ испечатаны, сверхъ того **переводы неизданныхъ на русскомъ яз. сочиненiй: ЖАНА ПОЛЯ РИХТЕРА, А. ТРОЛОПА** (Романъ) ОЧЕРКИ ГЮИ ДЕ МОПАСАНА, ИЗБРАННЫЯ ПРОИЗВЕДЕНЫЯ **СТЕНДАЛЯ, НОРМАНЫ ВЪ ВИЗАНТIИ** (Историч романъ) Повѣсти и разсказы новѣйшихъ французскихъ новеллистовъ англiйскихъ. американскихъ и польскихъ юмористовъ. художественная историко-литературная монографiя

**„Женщина въ искусствѣ"** (болѣе 300 гравюръ).

**Парвая книга «Новаго журнала Иностранной Литературы» печатается вторымъ изданiемъ.**

**Подписная цѣна на 1898 Г.:**

Годовая (съ 1-го инваря 1898 г.) Безъ доставки- **4 Р.,** съ Доставкой и пересылкой **5 Р.,**
Без доставки Полугодовая **2 Р.. 50 К.,** съ доставкой и пересылкой **3 Р.,**

**годовые подписчики на 1889 годъ безплатно получатъ начало романа «Э. ЗОЛА ПАРИЖЪ».**

Для г.г. служащихъ въ правительственныхъ и общественныхъ учрежденiяхъ допускается разсрочка за поручительствомъ ихъ казначеевъ.

Подписка принимается ВЬ РЕДАКЦIИ «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАН НОЙ ЛИТЕРАТУРЫ»—С.-Петербург, Конногвардейскiй бульваръ, 13, въ книжномъ магазинѣ »Новаго Времени» (Невскiй, 38). ВЬ МОСКВѢ конторѣ Н. Печковской (Петровскiя линiи), гдѣ для московскихъ подписчиковъ допускается разсрочка, а также принимается **только годовая подписка безъ доставки въ Москвѣ—Ц. 4 Р. 50 К.** Иногороднiе и подписчики высрочку благоволятъ адресоваться въ редакцiю «НОВАГО ЖУРНАЛА ИНОСТРАННОЙ ЛИТЕРАТУРЫ» (С.-Петербургъ, Конногвардейскiй булваръ 13).

(12—3) *Редакторъ-издатель Ѳ. И. БУЛГАКОВЪ.*





Первоклассные Велосипеды „ЭНФИЛЬДЪ"
Главный Складъ для оптовой и рознични. продажи
Торговый Домъ ДЕВИСЪ и АЛЕКСѢЕВЪ
МОСКВ. Рождественка. уг Кузнец. м.д. Третьяковыхъ. Требуйте каталог.
Золотая медаль

(8—7)